საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია

ქართული ენციკლოპედიის ი. აბაშიძის სახელობის მთავარი სამეცნიერო რედაქცია

ზემო ქუტირი

ზემო ქუტირი, ისტ. სოფელი იმერეთის სამეფოში. 1545 ზ. ქ. ბაგრატ III იმერთა მეფემ გელათის წმ. გიორგის საყდარს შესწირა „ხელშეუცვლელად... თვნიერ ნადირობისა". ზ. ქ-ის ციხისთავ ღოღობერიძის ეული მოსახლე 2 კომლი ფეტუშნელიძე, სხვა გლეხთან ერთად, მეფემ „ნაშვილობით" მიიღო ღოღობერიძის „უშვილოდ გარდახდომის" გამო. ზ. ქ. გვიანი შუა საუკუნეების ადმ.-ტერიტ. დაყოფით იმერეთის სამეფოს ქვემო მხარის სადროშოს შემადგენლობაში შედიოდა, XIX ს-ში – ქუთაისის გუბ. ქუთაისის მაზრის ხონის საპოლიციო უბნის ღანირის სასოფლო საზ-ბაში; 1930, მაზრების გაუქმების შემდეგ, კი ზ. ქ. ხონის რაიონში შევიდა.

წყარო: მასალები საქართველოს ისტორიული გეოგრაფიისა და ტოპონიმიკისათვის, წგ. 1, თბ., 1964; საქართველოს ცენტრალური საისტორიო არქივი, ფ. 12, საბ. 51.

ზ. ცინცაძე